საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 3 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელისმომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 34 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 34

## აღმოსავლეთის ხალხთა სიეზდი.

აღმოსავლეთის ხალხთა სიეზდი საერთო ყურადღებას იპყრობს. დელეგატები მრავალი მოდიან თურქესტანიდან, ბუხარიდან, ყირგიზსტანიდან, ინდოეთიდან, ავღანისტანიდან, სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან.

უჩვეულო სიეზდია. ეს ჩამორჩენილი ხალხი, მოკლებული თავით ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარების საშუალებას, ევროპის იმპერიალიზმის კლანჭებში სულშეხუთული, თავის ქვეყანაში უცხოელთა იარაღით დაპყრობილ — დამონებული დღეს წელში იმართება და მჭიდროთ შეკავშირებულ ბრძოლის წარმოებას აპირებს კბილებამდე შეიარაღებულ ევროპის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ამ ხალხებს დიდი ხანია რაც თავზე აზის ევროპის იმპერიალიზმი და უწყალოთ სწოვს სასიცოცხლო წვენს. ევროპის ქებული ცივილიზაცია აქ იჭრება როგორც უკიდურესი ბარბაროსული ძალა, რომელიც შეუბრალებლათ ანადგურებს და ანიავებს მის სიმდიდრეს, ეზიდება იქიდან ყველაფერს, რასაც კი ხელი მოეკიდება და ნაცვლათ ამისა ადგილობრივ მკვიდრთ იგი უტოვებს სრულიათ გამოფიტულ მიწა-ადგილს, ფართოთ გავრცელებულ ალკოგოლიზმს და ვენერიულ ავადმყოფობას.

აღმოსავლეთის ქვეყნების საწარმოვო ძალთა ასეთი უზომო განადგურება იწვევს საერთო დრტვინვას ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, რომელნიც უმწვერვალესათ გაბოროტებულნი იარაღსაც კიდებენ ხელს თავის საუკუნოებრივ მტრების — ევროპის იმპერიალისტების წინააღმდეგ. საჭიროა გაერთიანება მთელ ამ მრავალ მილიონიან ხალხის უკვე დაწყებულ ბრძოლისა და მისი უძლეველი ძალის მიზან შეწონილათ მიმართვა მტრის წინააღმდეგ. სწორეთ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ბაქოს სიეზდი.

სიეზდის იდეური ხელმძღვანელია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის მოწოდება ამ სიეზდის მოწვევის შესახებ ამ ორი თვის წინათ ემცნო მთელ ქვეყანას.

ესეც უჩვეულო რამ არის მუშათა ინტერნაციონალის ცხოვრებაში. როდესაც ამ თექვსმეტი წლის წინათ ამსტერდამის ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესზე გამოვიდა ინდოეთის წარმომადგენელი, რომელმაც საბოლოვოთ ჩივილით მიმართა კონგრესს ინგლისის გაუმაძღარი და გამანადგურებელი საქმიანობისა გამო ინდოეთში. კონგრესმა, მართალია, მას თანაგრძნობა გამოუცხადა, მაგრამ თანაც უკვირდა იმ უჩვეულო როლისა გამო, რომელშიაც ამ გამოსვლამ იგი ჩააგდო. კონგრესს, როგორც განსაკუთრებული კლასის — პროლეტარიატის წარმომადგენელს, თავისთვის შეუფერხებლათ მიაჩნდა, რომ მას მიმართავდა საშველათ მთელი ნაციის, თუნდაც დაჩაგრული ნაციის წარმომადგენელი წინააღმდეგ მისი შემავიწროებელი ნაციისა. ინტერნაციონალი არ ისახავდა მიზნათ ყველა დაჩაგრულთა და ტვირთ-მძიმეთა დაცვას მით უმეტეს, რომ განვითარებული კაპიტალისტური ნაციების მიერ ჩამორჩენილი ნაციების დაპყრობა-დამონება რაღაც ფატალისტურათ იხატებოდა მის თვალში. საბოლოვოთ ამ გამოსვლაში ის სანუგეშო მოვლენა დაინახა ინტერნაციონალმა, რომ მას, როგორც ერთათ ერთ ძლიერ ფაქტორს საშველათ მიმართავენ ყველა ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი.

ასე მიექცა მეორე ინტერნაციონალი სამას მილიონიანი დაჩაგრული ერის წარმომადგენელს. სხვანაირათ ვერ მოიქცეოდა ის ინტერნაციონალი, რომელიც არ იყო ნამდვილი ხელმძღვანელი საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლისა. ის უფრო აჩლუნგებდა და აძინებდა პროლეტარიატის ბრძოლის ენერგიას, ვიდრე აღვიძებდა და აკაჟებდა მას.

სულ სხვა როლი ხვდა ისტორიაში მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს. ის უკვე რამდენიმე წელიწადია რაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატის თავდადებულ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა დიდი ხანია გასცდა სიტყვიერ პროპაგანდა-აგიტაციის ფარგლებს და გადაიქცა მთელი პრაქტიკული ცხოვრების უდიდეს მოვლენათ, ასეთ პირობებში ის თვით რაზმავს და საბრძოლველათ სწრთვნის ყველა მებრძოლ ძალებს, რომელიც მიმართულია ძველი ქვეყნის, ისტორიულათ განწირული წყობილების წინააღმდეგ. მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი ბრძოლის დროშის ქვეშ თავს უყრის აღმოსავლეთის ხალხებს მათი შემხუთველი ევროპის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

რა ხასიათისაა აღმოსავლეთის ხალხთა ეს ბრძოლა? ეს არის ბრძოლა ნაციონალური განთავისუფლებისათვის, რომელიც, მის პირველ განუვითარებელ საფეხურზე მაინც, ერთი დროშის ქვეშ აყენებს სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასებს და ჯგუფებს. ნაციონალური ბრძოლა თვით ამა თუ იმ ნაციის შიგნით, რასაკვირველია, ვერ მოსპობს კლასობრივ წინააღმდეგობებს და მისი მიზნის მიღწევა ვერ მოუტანს ნაციას სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი მონობისაგან.

მაგრამ არსებულ პირობებში ამ ბრძოლის მიზნის შესაფერი შედეგი აუცილებლათ პროგრესიული მოვლენაა პროლეტარიატის მიზნების თვალსაზრისით. იგი მოასწავებს ადგილობრივ საწარმოვო ძალთა განთავისუფლებას ევროპის იმპერიალიზმის იმ შემბოჭავ გავლენისაგან, რომელიც მათ გასაქანს არ აძლევს. ამავე დროს იგი მოასწავებს ევროპის იმპერიალისტების საგრძნობლათ შესუსტებას და მათ შედენას თავის პირვანდელ ბუნაგში — მეტროპოლიაში, სადაც ისინი იძულებული იქნებიან აშკარათ დაუპირდაპირდენ თავის ქვეყნის პროლეტარიატს და მიიღონ მასთან „უკანასკნელი და გადაჭრილი ომი“, რაც უეჭველათ დააჩქარებს სოციალიზმის განხორციელებას.

ასეთია ის აუცილებელი შედეგი, რომელიც მოყვება აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლას, თუ ის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მაგრამ რაც უნდა დიადათ სჩანდეს ეს შედეგი, კომუნიზმი ვერ შემოფარგლავს აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლას მარტო ნაციონალური მიზნით. აქ მან სავსებით უნდა დააყენოს სოციალიზმის საკითხი არა მარტო ევროპისთვის, არამედ თვით აღმოსავლეთისთვისაც. რაც უნდა ჩამორჩენილიც იყოს აღმოსავლეთი და რაც უნდა მიზან-შეწონილათ მოჩანდეს ფილისტერული თვალსაზრისით ისეთი საკითხის წამოყენება, რომელიც ერის ძალებში იწვევს შეხეთქებას და ერთი შეხედვით თითქო ანელებს საერთო მტრის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას, კომუნიზმი ვერ უღალატებს კლასთა ბრძოლის თეორიას და ყოველ მოძრაობაში ის დაიცავს მშრომელი ხალხის განსაკუთრებულ ინტერესებს. ამისთვის კი ის შეეცდება ცალკე, კლასობრივ ორგანიზაციულათ დარაზმოს ეს ძალა და დაუპირდაპიროს იგი არა მარტო უცხოელ - დამჩაგვრელებს, არამედ საკუთარი ერის გაბატონებულ კლასებს.

ბაქოს სიეზდზე და აგრეთვე მომავალ მუშაობაში აღმოსავლეთის ხალხთა შორის კომუნიზმი შეეცდება ცალკე გამოყოს და დარაზმოს მშრომელი კლასები გაბატონებულ კლასებიდან, შეიტანოს მასში სოციალისტური შეგნება და გაუთვალისწინოს მას მთელი მნიშვნელობა როგორც ნაციონალური, აგრეთვე ინტერნაციონალური ბრძოლისა. რაც უფრო მეტი კომუნისტური ელფერი მიეცემა აღმოსავლეთის ხალხთა მოძრაობას, მით უფრო ძლიერ იერიშებს მიიტანს იგი ევროპის იმპერიალიზმზე, მით უფრო თავისუფალი იქნება იგი რელიგიურ და სხვაგვარ ცრუმორწმუნოებიდან და მით უფრო მალე შეუერთდება იგი მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც მისი ერთი ძლიერი ნაკადი.

## მელას რაც აგონდებოდა...

უკანასკნელ დღეებში თბილისის გაზეთები ნდომის ნერწყვით მორწყულ პლაკატებს ათავსებენ თავის ფურცლებზე: ვრანგელის დესანტმა ნოვოროსიისკი აიღო, მან აიღო ეკატერინოდარი, მთელს ყუბანის ოლქში აჯანყებებია საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოსაგდებათ! ქუჩებში კმაყოფილი ჟივილ-ხივილია: აღებულია ტიხორეცკაია, რკინის გზა გადაჭრილია მრავალ ალაგას, პიატიგორსკი და ვლადიკავკავი ალყა შემორტყმულია! ასე ერთობა შავრაზმელთა „მასსა“, რომელსაც გა. „გრუზია“ს დუქნის თამადები უწევენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, მათ გვერდით ჟრიამული აქვს გამართული ქუჩის დემოკრატიას, რომელმაც, თუ კი რამ იცის, იცის მხოლოდ, რომ კომუნისტების და საბჭოთა მთავრობის დამარცხება კარგია. ასე გაუგონია, ასე ჩაუწვეთებიათ მის გამოლაყებულ ტვინსა და გამოფიტულ სულში.

გინდა შეჰყვირო ამ ბრბოს: თქვე უბედურებო! თქვე ცოდვისშვილებო, რა გიხარიათ? კიდეც რო მართალი იყოს „საკუთარი კორესპონდენტების“ და დეპეშათა საავენტოს ცხრამთას იქით ყურმოკრული ამბავი ვრანგელის დესანტის ელვისებური წინსვლა და ზედი-ზედ გამარჯვებები, კიდეც რომ მართალი იყოს და შესაძლებელი საბჭოთა ძალაუფლების გასრესა ვრანგელის მიერ — თქვენ რა გახარებთ? ნუ თუ ბარონ ვრანგელის და ჩერქეზ ფეოდალის გენერალ ულაგაის გამარჯვება გირჩევნიათ რუსეთის მუშაგლეხებზე? მართალია სამხრეთ რუსეთის სოფლის კულაკები ხმას ავრცელებენ, რომ ბარონი დემოკრატიული, „მენშევიკური პროგრამით“ მოდის ჩვენსკენო, მარა განა აქამდის არ იცით და არ გაგიგონიათ, რომ ბოლო ხანებში „დემოკრატიზმი“ დენიკინის და მისი მომავლინებელი შავ იმპერიალისტურ რეაქციის დროის შესაფერი წამოსასხამია, რომ ამ წამოსასხამში ეხვევა შავი რაზმის ერი და ბერი, გენერალი და სპეკულიანტი? იშოვეთ ერთი ყირიმში გამომავალი გაზეთი და იქ სამგლოვიარო განცხადებებიდანაც გაეცნობით, თუ რა შინაარსია დამალული ბარონების დემოკრატიზმში, იქ ამოიკითხავთ მათი გაშმაგებული ბრძოლის მიზანს: за веру, царя и отечество!

აი რა მოაქვს ბარონებს მუშებისთვის და გლეხებისთვის, აი რა მოაქვს ყველა ერებისთვის. მეფის გვირგვინს, ცარცით გაფერილს, თან დაათრევს მათი ბანაკი, უწმიდესი სინოდი ხომ მუდამ მზათ ყავთ ეგზარხების სამობილიზაციოთ, ხოლო მათი ОТЕЧЕСТВО-ს ფარგლებში კარგათ უნდა იცოდეთ: ესაა 1914 წლის რუსეთის საზღვრები მაინც. და რა დატრიალდება ამ საზღვრებში, რა მეხი დაატყდებათ თავს ყველა ინოროდცებს განურჩევლად შავრაზმელებისა და დემოკრატებისა — ნუ თუ ეს აქამდის გათვალისწინებული არ გაქვთ? მაგრამ, რაც უნდა იყოს, დღეს თქვენი მხიარული ჟრიამული და აღელვებული ჩოჩქოლი სულ ფუჭი ოცნებაა. სწორედ იმ დღეს, როცა თქვენი ინფორმატორ-მოამბეების ცნობით გენ. ულაგაიმ ეკატერინოდარი აიღო, სწორედ იმ დღეს წითელი ჯარის ბელადი ტროცკი, ეკატერინოდარში მყოფი, ადგილობრივ გაზეთში წერილს ათავსებს, რომელშიაც ჯვარს უსვამს ვრანგელის მსუნაგობას: დესანტი განადგურებულია, მისი განმეორება შეუძლებელია, ვრანგელის სანადიროთ გამოგზავნილმა მგლებმა არა თუ ვერ ააჯანყეს ყუბანის მოსახლეობა, თვით შავრაზმელ კაზაკებსაც კი აუცრუეს გული სამუდამოთ დენიკინის ბლარტებზე, ახლა მთელი ძალების გადასროლა შეგვიძლია ყირიმის ფრონტზეო! იმ დღეებში, როცა ენით მეძავი მოამბეების რწმუნებით დესანტი წინ მიერეკებოდა და მუსრს ავლებდა ყუბანის მხარეში წითელ ჯარებს, იმ დღეებში ამ უკანასკნელთ დაუსრულებიათ დესანტის სრული გასრესა: ნაწილი ჩაურეკიათ ჩალამკალამში და ლენჭყოში, დანარჩენები კი მოუსპიათ (მათ შორის სამი გენერალი), ან ტყვეებათ წაუყვანიათ ყველა მათი შტაბებით.

იმ დღეებში როცა რკინის გზები აყრილი და დაკავებული უნდა ყოფილიყოს დესანტის და აჯანყებულთა მიერ, სწორედ იმ დღეებში კომუნისტური ინტერნაციონალის რაინდებში ზინოვიევი, ბუხარინი, რადეკი და ბელაკუნი სწორედ ამ რკინის გზით მოდიოდენ და ჩავიდენ კიდეც ბაქოში, აღმოსავლეთის მშრომელ ხალხთა ყრილობაზე დასასწრებლად.

„ალყა შემორტყმულ“ პიატიგორსკის და კავკავის მესვეურები სიცილით კვდებიან, როცა მათ ეკითხებიან თბილისიდან პირდაპირი მავთულით — მართლა ალყაშემორტყმული ხართ და ეკატერინოდარიც დაკარგულიაო? ასე მოსვენებული არასოდეს ვყოფილვართ და ასეთი მტკიცე ნიადაგი, როგორც ახლა არასოდეს გვქონებიაო.

აი ფასი ჩვენებურ მოამბეების ინფორმაციის, აი მათი ზრახვების ნამდვილი შინაარსი და მიზანი. ამ მელაკუდებს რაც აგონდებათ, ის ესიზმრებათ. მათ სიზმარს და ფუჭ ოცნებას ეხმაურება ქუჩის შავი რაზმი და ქუჩის დემოკრატია, და უხარიათ.

თუ კი სიხარული შესაძლებელია სისხლის ღვრის გამო, თუ აუცილებელია ეს სისხლის ღვრა და მის გამო აღტაცება „დემოკრატიას“, თუმცა ქუჩისას უნდა უძახოდეს, როცა რევოლიუციის ჯარი ანადგურებს ყველა ქვეყნის ბარონებს, ყველა ვრანგელებს და ულაგაებს.

## ბურჟუაზიული ეკონომისტები და პარლამენტი საქართველოს მხსნელთა როლში

ქაოსი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, ქაოსი უფლებრივ სფეროში, ქაოსი შრომის წარმომადგენელთა შეგნებაში, ქაოსი საწარმოვო ძალთა და მათ პარაზიტთა შორის დამოკიდებულებაში, ქაოსი ხალხსა და მის წარმომადგენელთა შორის, ქაოსი ზნეობრივი კლასიური ინტერესთა არევ დარევა, ახალი დუღილი, ახალ გადაკლასებისათვის ჩქარი შიშინი, საერთოდ ქაოსი, ქაოსი და ქაოსი! აი რა ასურათებს დღეს ჩვენს „ოაზისს“. ამ ლაბირინტში გზის გაკაფვა და სინათლეზე გასვლა უნდა იკისროს ხელახლა მომენტის შესაფერად, გათვითცნობიერებულმა, კლასიურად ჩამოყალიბებულმა, რევოლიუციონურმა მშრომელთა მასსამ, მაგრამ ეს დიდი საქმე მან უნდა იკისროს ბურჟუა-ლიბერალ ოპორტუნისტის წინააღმდეგ, ვითარცა ანტიტეზი, ვითარცა წინააღმდეგი საფეხური ყველაფერ ბურჟუაზიულის. აი, ამ საკითხზე მსურს წარმოგიდგინოთ ჩვენი ეკონომისტ-პარლამენტიორების საბუთები, რომელთა ქსელებშიაც არის, ჩემის შეგნებით, დღეს დახლართული ჩვენი საქართველო.

დამფუძნებელი კრების საერთო კრებული, მათი პრესსა, მათი მოღვაწეები, მათი იდეების მქადაგებელნი ნანას უგალობენ დღეს ხუთ მეტაფიზიკურ ღმერთს, სამშობლო, დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა, რომლებიც სინამდვილეში ფიქციაა, ხოლო პოლიტიკაში ყავარჯენია სხვა და სხვა ჯგუფ-პარტიებისათვის. ამ ძველთა-ძველი ღმერთების გუნდმა შექმნა რევოლიუციის ერთი სახე: „რევოლიუცია და ბურჟუაზია“-ო და როგორც ყველასი მომხიბლავი, პოეტური ჰიმნი ბჭედ დაედვა ნ. ჟორდანიასი ახალი მოძღვრება: „საბედნიეროთ ხალხშა მოიძებნა ისეთი ელემენტები, რომლებმაც თავიდანვე აიღეს სწორი ხაზი და შეეცადენ, რომ ხალხიც ამ გზაზეც შემდგარიყო და უნდა ვსთქვა, რომ მიზანი შესრულებულ იქმნა, — საქართველოს ხალხი მიადგა იმ ნაპირს, სადაც იწყება ნორმალური განვითარება ერისა. ჩვენ დღეს ფაქტიურად უკვე ჩამოყალიბებული ვართ სოც. და პოლ. კალაპოტში, საჭიროა მხოლოდ მისი იურიდიულ ფორმაში ჩამოსხმა, რასაც ჩაიდენს დამფუძნებელი კრება, — ცხოვრება რევოლიუციის მიერ მოპოვებულ ნიადაზე და ეს ნიადაგი არის შეურყეველი და მას ვერ დაამხობს ვერც შინაური მტერი და ვერც გარეშე ძალა“. (18 თებერვალს 1919 წ. პარლამენტში წარმოთქმული).

საჭირო იყო ეროვნული ჰიმნის დაწყება, რომელსაც გულის ფანცქალით მოელოდენ: დემოკრატები, ნაც-დემოკრატები, ფედერალისტები, სოც-დემოკრატები და ესერებიც. — ვეშაპელი, კედია, ღლონტი, არსენიძე და შენგელაიაც კი ამ „ოსანას“ მღერიან ერთად, ერთი ხმით. აქიდან იშვა ერთი ნიადაგი, ერთი შეთქმულება ქვეყნისა და შრომის წინააღმდეგ და ვსცადოთ ამის დასაბუთება ზოგადი, მაგრამ დამაჯერებელი საბუთებით. ინიციატივა, როგორც შემდეგიდან გამოსჭვივის, სოც-დემოკრატიას ეკუთვნის, სხვები კი მღერიან: „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ს ხმაზე.

აი საბუთები:

1919 წ. თებერვლის „ერთობაში“ ირემაშვილი ასე ეკონომისტობს: „მთავრობამ თავისი ეკონომიური პოლიტიკით ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი საწარმოვო ძალების აღორძინებას, ვაჭრობა-მრეწველობის გაჩაღებას. — დემოკრატიის ვალია ახალ აღორძინებული კაპიტალისტურ ცხოვრების განვითარებას კვალ და კვალ გაჰყვეს.“

თებერვლის 27 „ერთ.“ № 46 გვეუბნება: „ს-დემოკრატიას, რომელიც დამფუძნებელი კრების დიდ უმრავლესობას შეადგენს უხდება არსებითად ბურჟუაზული სახელმწიფოს შენება.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. არსენიძე „შვიდ-მნათობში“ შემდეგ-ნაირად ქადაგებს:“ დღეს თანდათან მუშავდება პირობები შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომა და ამავე დროს მისცეს საშუალება კაპიტალს თავის შემოქმედებითი ძალის გამოჩენისა“.

დ. თოფურიძე ქადაგებს „ეროვნული წარმოების განვითარებისთვის სახელმწიფოებრივი გეგეგონიის თავის ხელში შენახვას,“ აქციონერულ საზოგადოების დარსებას, ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებას.

გ. ირემაშვილი: „მავნებელი სპეკულაციის და ფინანსიური გართულების მოსასპობათ საჩქაროთ უნდა განმტკიცდეს მიწაზე კერძო საკუთრება და შემოღებულ იქმნას მისი კანონიური ყიდვა-გაყიდვა“—მაისი 9. 1920 წ. „ერთ.“ № 103.

გრ. გიორგაძე, ვითარცა საბიუჯეტო მომხსენესელი ამბობს „(სხივში“ № 16: „უზრუნველ ყოფა მშრომელ გლეხობისა მიწით, რომ რაც ხალხის სიმდიდრეს შეადგენს ამის დაქუცმაცება ხალს მოუტანს ზიანს, და, რომ ეს არ მოხდეს, ხალხის სიმდიდრე უნდა იყოს ხალხის ხელში. შრომა, სადაც არ უნდა იყოს ის, იყოს უზრუნველ-ყოფილი“—სისტემა ჩვენი შემოსვლის წყაროებისა არ არის ახალი, ეს ძველი სისტემა არის—შეცვლა ძველი სისტემისა ახალზე ძალიან ძნელი და სათუთი საქმეა.“ იქვე „სხივი“ გადმოგვცემს: „ჩვენს მართვა-გამგეობის სვქმეში ბევრი დეფექტებია, მაგრამ ჩვეულებრივად ჩატარდა—сошло гладко.“ ორი კვირის შრომა, შეხლა შემოხლა, პარლამენტარული კამედია და შენგელაიას მიერ თქვენსკენ გადმოსხმული შხამი; „ქურდები—პოლიციელები“-ც ხომ “ჩვეულებრავად сошло гладко“!

აკ. ჩხენკელი ბიუჯეტზე შემდეგ ნაირად ლიბერალობს: „როცა საზოგადოებური ორგანო კიდებს ხელს ისეთ წარმოებას, რომელიც ქმნის საქონელს ბაზრისათვის, მან უსათუოდ უნდა იხელმძღვანელოს ეკონომიური კანონით: უდიდესი ნაყოფიერება უმცირესი შრომის დახარჯვით. ამ წარმოების გასავრცელებლათ საჭიროა, რომ ის იძლეოდეს მოგებას. ჩვენი ქვეყანა არ არის ღარიბი, ბუნებრივ სიმდიდრითა და ნიჭიერი კაცებით“—„ბორბა“ 182.

თითქმის პროფესორმა ავალიანმა აღნიშნა, რომ ვალიუტის დაცემა გამოწვეულია არა ხელოვნური გზით, არამედ დასავლეთ ევროპაში არსებულ საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობით, ამიტომ ქაღალდის ფულის ნიშნების შემცირება, ტრანსპორტის გაუმჯობესება, უცხო კაპიტალის შემოყვანა, (სესხი, კონცესია) სავაჭრო არბიტრაჟები, იმპორტის შემცირება, კომპეტეტურ ორგანოს დაარსება“.

ი. ჭავჭანიძემ აღნიშნა, რომ სხვა მიზეზთა შორის, რომელიც ვალიუტის კურსის დადებაზე გავლენას ახდენს, არის ისიც, რომ რეპუბლიკის ვაჭრები არ სცილდებიან ბათომს და მეორე ხელიდან უხდებათ საქონლის ყიდვაო“.

ვალიუტის კრიზისთან საბრძოლველად შემდეგი ზომების განხორციელება სცნეს სასურველად: 1) ვალიუტის ფონდის დაუყოვნებლივ შექმნა. 2) დაარსება ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც სახელმწიფოს მეურნეობის გეგმას შეიმუშავებს, ბრძოლა სპეკულიაციასთან, პირდაპირ მწარმოებელთაგან აუცილებელ საქონლის შესყიდვით, ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა. თათბირმა დაადგინა: დაუყოვნებლივ შექმნას ვალიუტის ფონდი და დააარსოს ეკონომიური საბჭო. ,,ერთობა“ № 168 ა. წ.

ეს საბუთები პარლამენტარულ მუზიკაზე გადაჭიმული სიმებია, რომელმაც ხმა შეწყობით, (მიუხედავათ უსულგულო ზოგადის შეკამათებისა) უნდა იღიღინოს მშვიდობა და სათნოება,--ეს მათი საერთო გეგმაა, რომელიც დაჟინებით „ატრიალებს შრომას და კაპიტალს, მოუწოდებს მათ თანხმობა ჰარმონიასკენ; სურთ ორივე მოწინააღმდეგის დღერგძელობა-წარმატება, ამიტომ, თანახმათ მათი საჭიროება - მდგომარეობისა ორი მოსისხლე მტრების ბუნებას მანდილი გადააფარეს და ბუნებრივია, რომ ეს ეკონომისტ-პარლამენტიორები ვერც შრომას მოფენენ ნათელს, ვერც კაპიტალს, და ვერც აქიდან წარმომდგარ სოციალურ დამოკიდებულებებს. მათი წყვდიადში ყოფნა უფრო მიმზიდველი და უფრო მოსახმარია მათთვის. აქ, ამ ქაოსში დაიბადა და გაიფურჩქნა სრულიად ახალი კლასი, რომლის მამა პარლამენტარული არჩევნებია და დედა კი დამფუძნებელი კრება. დედას, მამას და შვილს შეუძლიათ არსებობა მხოლოდ უსინათლოდ. სინათლე მათი მტერია. კლასი, რომელიც იმპერიის კედლების ნგრევასთანავე შეიქმნა, ერთი საერთო ახალი მდგომარეობის გარშემო, შეთხზულია სხვა და სხვა ელემენტებისაგან, რომლებიც ერთმანეთს დაუთმეს, მემარჯვეთაგან გამოსროლილი ლმობიერება მოხვდათ მემარცხენეებს მემარც. გამოსროლილმა სიყვარულმა შეაშუქა მარჯვენათა ბანაკში. ცენტრში ალმოდებული სურვილი ეალერსება ორივეს, მაგრამ უფრო ძლიერს. ამნაირათ ჩვენი ხალხის დემოკრატიიდან, ნაციო. დემოკრატიიდან, ფედერალისტებიდან, სოციალ-დემოკრატებიდან და ესერებიდან მივიღეთ დემოკრატია. ეს წარმოიშვა ცოტ-ცოტა რეაქციონერებიდან, ცოტ-ცოტა ლიბერალებიდან და ცოტ-ცოტა 1914 წლის აქეთ შერყეული ტიპი სოციალისტებიდან:—თავად-აზნაურობიდან, სამღვდელოებიდან, ვაჭრებიდან, ნოქრებიდან მუშებიდან, გლეხებიდან. თავად-აზნაურობა და სამღვდელოება რევოლიუციით თავზარდაცემული გაიყვანდა ხალხში თავის რეაქციონური საწამლავით. ვაჭართა კლასმა შექმნა სპეკულიანტთა კლასი ,რომელსაც ხალხის წარმომადგენლები ეარშიყებიან. ნოქართა ლიბერალიზმი ცხოვრების არხებში გაცურდა როგორც ვაჭრის ალამი. მუშათა რევოლიუციონური სული შეარყია მომსყიდველმა უპირატესობამ და თავის წვრილი მდგომარეობით კმაყოფილდება სხვისა წინააღმდეგ. გლეხობა შერჩა თავის-თავს—თავის წვრილ ეგოიზმს და მომატყუებელ მიწების რეფორმას, რომელსაც თანდათან დაინახავენ ცხოვრებაში თავისივე გამოცდილებით, მაგრამ მანამდის მისი სამუშაო დრო და ენერგია ფუჭად იფლანგება. აი ამ ელემენტებისაგან შეიქმნა ჭრელათ შეკერილი კლასი-დემოკრატია, ანუ წვრილი ბურჟუაზია, რომელიც მდიდარია თავის სიწვრილმანით. ამ კლასს ასურათხატებს ქვეყნისადმი წვრილმანი ანგარული სიყვარული, წვრილმანი პრაქტიკული იდეალი, ცოტა ცვლილება,—დაწვრილმანებული უფლება, — წვრილმანი პრივილეგიები, — წვრილმანი მოქალაქეობა. ამ თვისებებით დატვირთული ის თავის კალაპოტს ქმნის და შიგ ჩაჯდომას აპირობს. ის იმპერიის ბიუროკრატიის მოშლით და თავისი ბიუროკრატიის აღმართვით მედიდურობს მეფის სატრაპების ნაცვლად თავის მოხელეების შექმნით გახარებულია;—იმპერიალისტური აბსოლიუტიზმის მოშლით და თავის აბსოლიუტიზმის აღმართვით აკისკასებულია: შავმა ბიუროკრატიამ შუა ლიბერალური ბიუროკრატია, იმპერიალისტურმა აბსოლიუტიზმა შვა წვრილი მესაკუთრის აბსოლიუტიზმი. ამიტომ ეს შეთანხმებული კლასი—ეს დემოკრატია სრულიადაც არ არის დაინტერესებული, რომ გარკვეულ იქნეს შრომასა და კაპიტალს შორის ის საზღვრები, რომელიც ეკუთვნის ერთს და მეორეს. ამიტომ ბნელა პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის, მოქალაქისა და საზოგადოების შორის სოციალურ დამოკიდებულებათა სფეროში, რასაც გვიმტკიცებს აქ წამოყენებული საბუთები, რომლებიც მათი პრინციპებია:

„საწარმოვო ძალების აღორძინება—ვაჭრობა-მრეწველობის გაჩაღება“—„უზრუნველყოფა შრომისა და საშუალება კაპიტალს თავის შემოქმედებითი ძალის გამოჩენაში“ „ხალხის სიმდიდრე უნდა იყოს ხალხის ხელში.—შეცვლა ძველი სისტემისა ახალზე ძალიან ძნელი და სათუთი საქმეა“.

,,შემოღებულ იქნას მიწების ყიდვა-გაყიდვა“.

,,წარმოების გასავრცელებლათ საჭიროა, რომ ის იძლეოდეს მოგება“.

,,ბრძოლა სპეკულიაციასთან პირდაპირ მწარმოებელთაგან საქონლის შესყიდვით.

,,ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობას“.

,,დემოკრატიის ვალია ახლად აღორძინებულ კაპიტალისტურ ცხოვრების განვითარებას კვალდაკვალ გაჰყვეს“.

ვთხოვ ბბ. ვემპელს, კედიას, ღლონტს, და სხვათა, მობრძანდენ და მოაწერონ ხელი; ამაზე ფიქრი რა საჭიროა! მოდით, მობძანდით! ეს თქვენი დებულებებია, თქვენი პრინციპებია ს.-დემოკრატების თაოსნობით ხორცშესხმული და მოძლვნილი.

ი. კაკაბაძე.

(შემდეგი იქნება).

# ინტერნაციონალის გარშემო.

## კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი პეტერბურგში.

(დასასრული იხ. „ახ. კომ.“ № 33).

### კონგრესის სხდომის შემდეგ.

### საზეიმო მსვლელობა.

კონგრესის სხდომის გათავების შემდეგ ყველა დამსწრეებმა კონგრესის წევრების მეთაურობით დასტოვეს სასხდომო დარბაზი.

ურიცკის სასახლის წინ, სადაც მოგროვილიყვენ პიტერის და რაიონების პროლეტარულ ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოხდა დროშების საზეიმო ჩაბარება მესამე ინტერნაციონალის კონგრესისათვის.

ამის შემდეგ კონგრესის წევრებმა დროშებით რაიონულ კოლონებთან ერთად დაიწყეს მსვლელობა რევოლიუციის მსხვერპლთა მოედნისაკენ.

მსვლელობა გაჭიმულიყო რამდენიმე ქუჩაზე. მსვლელობის დროს მცხოვრებლები, რომლებიც დაგროვილიყვენ მსვლელობის ქუჩებზე, დიდი აღფრთოვანებით ესალმებოდენ კონგრესის წევრებს. მუსიკის ორი ორკესტრი, რომელიც მსვლელობის წინ მიდიოდა, უკრავდა რევოლიუციონურ სიმღერებს.

### მსხვერპლთა რევოლიუციის მოედანზე.

მსხვერპლთა რევოლიუციის მოედანი სრულიად შეცვლილიყო მე-3 ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესის დღეებში.

ყველა უსწორ-მასწორობა გასწორებულია, პატარა გზები გაწმენდილია და მოყრილი სილით, შადრევანები სჩქეფენ მოედანზე შესავალთან მაღალ სარებზე ფრიალებენ წითელი და შავი ბაირაღები.

პროცესიის მისვლის მომენტში მთელი მიდორი გათეთრებულია მეზღვაურების კურტკებით. პროცესიის გზაზე დიაგონალათ ბაღის ქუჩიდან ძეგლამდე დგანან ერთიან შპალერებათ მეზღვაურები ვინტოვკებით ხელში. ძეგლთან ახლოს შპალერები ორ მიმართულებით მიდიან—ერთი მიდის ძეგლში, შესავალთან, მეორე უხვევს უკანასკნელს და მიემართება მოედნიდან გასავალთან „ლებიაჟის პატარა არხზე“. ძეგლის მეორე მხრით პირდაპირ მოედნიდან გამოსასვლელამდე ცენტრალურ ალეებით ნევის მხარეზე დგანან აგრეთვე შპალერებათ წითელი მეზღვაურები, ქუდ-მოხდილი უახლოვდებოდენ პროცესიის პირველი კოლონები ძეგლს.

კონგრესის დელეგატებს მოაქვთ ხელებით უზარმაზარი გვირგვინი გაკეთებული ცოცხალი ყვავილებისა და მწვანეულობისაგან წითელი ლენტებით; ლენტებზე წარწერაა: „კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი. კომუნიზმისათვის ბრძოლაში დაღუპულთ, ყველა ქვეყნის პროლეტარებისაგან“.

ძლიერი ორკესტრის სამგლოვიარო მარშით შედიან დელეგატები ძეგლის შიგნით და მიქვთ გვირგვინი შავგულისაკენ, რომ დაადვან ძვირფას საფლავებს. ამავე მომენტში ისმის ზარბაზნის ხმები—სალიუტები პეტრეპავლოვსკის ციხიდან.

ბრწყინვალე წუთია, დიადი სანახაობაა. სამგლოვიარო მუსიკის ხმა შორს ეფინება მთელ მინდორს და მწუხარებით ვსებენ პიტერის მუშების გულს, რომლებმაც დამარხეს აქ თავის საუკეთესო მებრძოლები.

### ურიცკის მოედანზე

საღამოის რვა საათისას მანიფესტაცია კონგრესის წევრების მეთაურობით მოვიდა ურიცკის მოედანზე ხელოვნების სასახლესთან ხალტურინის ქუჩის ახლოს დიდ ვიტრინაზე გამოფენილი იყო ესკიზების და კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ძეგლების პროექტები. სულ პროექტია სამი; მათგან ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ესკიზი, რომელიც წარმოადგენს რევოლიუციის გენიას, რომელიც ჩირაღდანით ხელში ანათებს მთელ დედამიწას, რაც ნიშნავს სოციალური რევოლიუციის მოძრაობის ყველგან დაწყებას.

შემდეგ სასახლის შუა ნაწილის პირდაპირ გაკეთებულია. დიდი ტრიბუნა კონგრესის წევრებისათვის, რომლის გარშემო არიან კავალერისტები წითელ მუნდირებში; ისინი დანიშნული არაინ დელეგატების საპატიო ყარაულებათ. სასახლი ბაღის კუთხეში დამზადებულია ადგილი კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის ძეგლის საფუძველის ჩასაყრელათ.

დაბოლოს, მოვიდენ ყველა მანიფესტანტები და დაეწყვენ თავის დროშებით სასახლის შენობის გასწვრივ. იწყება დიდი ინტერნაციონალური მიტინგი. მიტინგს ხსნის პეტერბურგის საბჭოს მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალის თავმჯდომარე ამხ ზინოვიევი, რომელიც სიტყვას აძლევს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს.

### ამხ. ლენინის გამოსვლა.

„ამხანაგებო, ყველა ქვეყნებში კომუნისტების ბელადები გაუგონარ მსხვერპლს იღებენ, ისინი ათასობით იღუპებიან ფინლიანდიაში, ჰუნგრეთში და სხვა ქვეყნებში. მაგრამ ვერავითარი დევნა ვერ შეაჩერებს კომუნიზმის ზრდას და გმირობა ისეთი მებრძოლების, როგორც კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი, გვმატებენ ჩვენ სიმხნევეს და რწმენას კომუნიზმის სრული გამარჯვებისას.“

ამხ. ლენინის სიტყვა იფარება გამაყრუებელი „ურათი და მუსიკა ინტერნაციონალს უკრავს.

### უცხოელი ამხანაგების გამოსვლა.

საფრანგეთის კომუნისტების წარმომადგენელი, ამხ. სადული ამბობს, რომ 50 წ. წინეთ საფრანგეთის მუშებმა დაიწყეს ის საქმე, რომელიც ასე ნაყოფიერათ დასრულეს რუსეთის მუშებმა თავიანთ ხალხში, და რომელსაც ისინი განაგრძობენ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის საკეთილდღეოთ.

გერმანიის კომუნისტების ბელადი ამხ. პაულ ლევი დიდი აღტყინებით ლაპარაკობს კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის როლზე და მნიშვნელობაზე.

კომუნისტები ახალგაზრდობის დასავლეთ ევროპის კავშირის წარმომადგენელი ამხ. მიუნცენბერგი მხურვალე სიტყვებში პატივს სცემს კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის ხსოვნას. კარლ ლიბკნეხტი, ამბობს ამხ. მიუცენბერგი, ახალგაზრდობის მასწავლებელი იყო: ის მას ასწავლიდა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლას კაპიტალისტების მიერ მუშათა მასების გვლეჯის წინააღმდეგ, ასწავლიდა ახალს გაზრდობას ბრძოლას კაცობრიობის უკეთეს მომავლისათვის, მთელი მსოფლიოს მუშათა გაერთიანებისათვის-

ინდოეთის კომუნისტების წარმომადგენლის, ამხ. რეიას შემდეგ, რომელმაც გადასცა აგრეთვე სალამიც მექსიკის პროლეტარიატისგან. გამოვიდა იტალიის კომუნისტების წარმომადგენელი, რომელსაც იცნობს პეტერბურგი მისი, როგორც იტალიის დელეგაციის წევრის, გამოსვლებით პეტერბურგში და მოსკოვში.

უცხოეთის კომუნისტების წარმომადგენლების ყველა სიტყვები იფარება „ურა“-თი, რომლის შემდეგ უკრავენ ინტერნაციონალს.

### მეორე მიტინგი ურიცკის მოედანზე.

ტრიბუნის მეორე ნაწილშიაც გამოდიოდენ აგრეთვე ორატორების მთელი რიგი. მათგან ყველაზე მეტი შთაბეჭდილებას ახდენდა აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლების სიტყვები, როგორც მაგალითად: ამხ. რაინის (ინდოეთი, რომელმაც სთქვა, რომ შორეულ ინდოეთში მუშები და გლეხები, რომლებიც დამონებული ყავს ინგლისის კაპიტალს, გულის ფანცქალით შეჰყურებენ იმას, თუ რა ხდება საბჭოთა რუსეთში და რა გადაწყვეტილებებს გამოიტანს დღეს გახსნილი მე 3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი; ამხ. მარის—ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლი, რომელიც ჩამოვიდა ჰოლანდიის აზიურ კოლონიებიდან და რომელმაც გადმოგვცა ის, თუ როგორ იტანჯებიან კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან შავკანიანი მუშები, თუ როგორ იწყებენ გამოფხიზლებას, როდესაც გებულობენ, თუ რა ხდება საბჭოთა რუსეთში, სადაც მუშათა კლასმა აიღო ძალა-უფლება თავის ხელში და სხვ.

### შრომის სასახლეში.

საღამოის ათ საათზე შრომის სასახლის სამიტინგო დარბაზში გაწყობილ იქნა ბანკეტი მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესის დელეგატებისთვის.

ბანკეტის დროს გამოვიდენ მსახიობები: ტარტანოვსკაია, მოზჟუხინი, ლოპუხოვი, ორლოვა და სხვ., რომლებმაც შეასრულეს მთელი რიგი სიმღერების და ნაწყვეტები ბალეტიდან.

ბალტიის ქარხნის მომღერალთა გუნდმა შეასრულა რევოლიუციონურ სიმღერების მთელი რიგი.

ბანკეტის შემდეგ კონგრესის ყველა წევრები და დამსწრენი მორთულ ტრამვაით გაემართენ საფონდო ბირჟისაკენ, რომლის წინ საკრებულო მოედანზე მოწყობილ იქნა დიდი სახალხო სანახაობა შემდეგი შინაარსის: „მ ს ო ფ ლ ი ო კ ო მ უ ნ ი ს ა კ ე ნ“; ნ ა წ ი ლ ი 1: პირველი ინტერნაციონალი და პარიჟის კომუნა; ნ ა წ ი ლ ი მე-2: მეორე ინტერნაციონალი; ნ ა წ ი ლ ი მე-3: რუსეთის კომუნა; ა პ ო თ ე ო ზ ი: მესამე ინტერნაციონალი მსოფლიო კომუნა.

### ამხ. ლენინის დაბრუნება მოსკოვში

19 ივლისს, საღამოის 8 საათზე ჩქარი მატარებლით მოსკოვს გაბრუნდა ამხ. ლენინი.

### დელეგატების წასვლა.

20 ივლისს, საღამოის 5 საათზე კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის წევრები წავიდენ მოსკოვს, სადაც გაიხსნება მეორე კონგრესის შემდეგი სხდომა.

# დიდებული ქალაქი

პიტერის (პეტროგრადის) ზოგ ქუჩების ქვაფენილიდან უკვე ამოწვერა მწვანე ბალახმა. მიმოსვლა ქუჩებში ნაკლებია, ქვაფენილების შეკეთება ძნელი გახდა.

საზღვარ-გარეთის თეთრ გვარდიელთა ბეჭდვითი ორგანოები ცოფ მორეულები გაჰკივიან:—მოკვდა პეტერბურგი.

და იგინებენ ერთ მწერლის წინასწარმეტყველებას „და იყვეს ქალაქი იგი პეტერბურგი ცალიერ“! როდესაც, მსოფლიო კონგრესის გახსნის წინ, მივდიოდი არა ჩვეულებრივათ მიწყნარებულ, უხალხო პიტერის ქუჩებში, მეც ჯავრი შემომაწვა გულზე.

მაგრამ, თუ ოდნავ მაინც ჩაუკვირდებით ქალაქს, თქვენ მაშინვე გამოცოცხლდებით, გამოფხიზლდებით, სიამის წუთებს იგრძნობთ, რაკი დაინახავთ ამ დიდებულ ქალაქის მუშების დაუცხრომელ შემოქმედებითი ენერგიას.

დიახ, ამ ქალაქში ახლა სიჩუმეა. ქარხნებიც სდუმს. ჰორიზონტი მოწმენდილია, უკვამლოა. მაგრამ პიტერი სცოცხლობს არა მარტო ნევის ნაპირას, ის სცოცხლობს ყველგან მდინარე დვინიდან ბაიკალამდის; მურმანსკიდან ბაქომდის.

ყველგან, სადაც კი მებრძოლი, განთავისუფლებული ხალხია—ყველა ფრონტზეა, თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ადგილს ან ჯარის ნაწილს, რომ იქ თვალსაჩინო ადგილზე პიტერის მუშა არ იყვეს.

შემოიარეთ ყველა საგუბერნიო, სამაზრო, თუნდაც სოფლის აღმასრულებელი კომიტეტები, სასურსათო კომიტეტები, პარტიული კომიტეტები, პროფესიონალური კავშირები—თქვენ ყველგან ნახავთ პიტერის ქარცეცხლში გამობრძმედილ მუშას.

ტვერის გუბერნიის ერთ მივარდნილ, წმინდა გლეხურ მაზრაში, მე დავინტერესდი გამეგო, რა ხელობის იყვნენ აღმასრულებელ კომიტეტის წევრები. გამოირკვა, რომ სამი-მეოთხედი აღმას. კომიტეტის წევრებისა იყვნენ პეტროგრადის მუშები, ნაწილი კი მოსკოვიდან.

სცადეთ წარმოიდგინოთ, რომ გამოვიდა დეკრეტი—დაბრუნდენ, სადაც არ უნდა იყვნენ, პიტერში ყველა პიტერის მუშები. რა განადგურებას გამოიწვევდა პიტერის შვილების დაზგებზე დაბრუნება. პიტერი სცოცხლობს არა მარტო ნევის ნაპირებზე. მისი სისხლი, მისი ტვინი, მისი ნერვები მთელ რუსეთის ცხოვრებას აძლევს მიმართულებას, მამოძრავებელ ძალას.

მაგრამ ნევის ნაპირებზედაც დუღს შემოქმედებითი, განმაახლებელი ცხოვრება, რომლის შესახებ ძლიერ ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იციან. ყველაზე უფრო მაცოცხლებელია დიდებული ქალაქის რევოლიუციონური სული.

მსოფლიო კონგრესის გახსნის დღეს, აი ეს მიყუჩებული, წყვანე ბალახით შემოსილი ქუჩები, აგუგუნდენ, ახმაურდენ ათიათასობით მიმავალ ხალხის ფეხის ხმით. ყოფილი საზამთრო სასახლის შენობის წინ გამართულ მიტინგზე, ერთი მხრიდან მეორე მხარემდის სულ გაიჭედა ხალხით მთელი მოედანი. განზრახული იყო ერთი მიტინგის მოწვევა, მის მაგიერ საჭირო შეიქნა—მეორე, მესამე და მეოთხე მიტინგის მოწყობა—ყველა ერთად.

მუშათა პიტერი მთელი ეს დღე ქუჩაში იყო და სტკბებოდა იმ სანახაობით, რომ შეძლება მიეცა მას თავისი თვალით ენახა მსოფლიო პროლეტარიატის სიამაყე. კონგრესის გახსნის დღეს ამ საკვირველ დიდებულ ქალაქმა დაგვავიწყა მიყრუებული და ბალახით მოსილი ქუჩები. ის ცოცხალია, დიდებული ქალაქი და მისი ახალი, სათქმელი სიტყვები კიდევ წინ არის.

II

მტკიცეთ არის დაბჯენილი საფონდო ბირჟის უზარმაზარ შენობის ბოძები. მის წარსულ დიდება—კაპიტალს, არ დაუზოგავს მასალები თავისი ტაძრისათვის. ის ფიქრობდა ეცხოვრა დიდხანს და ძირგადგმულათ. ბირჟის—კაპიტალიზმის წმინდათა წმინდის—შესავალში გაკეთებულია ფართო საფეხურები. თვით ბირჟა კი, ცამდის მაღალი, გადმოყურებს მდ. ნევას და მთელ ქალაქს, თითქოს თავის სამფლობელოს ათვალიერებსო. შიგნით მარმარილო, ქანდაკება, დიადი დარბაზები, სატელეფონო პატარა ოთახების მთელი ლაბირინტი, რომლიდანაც, როგორც სამხედრო შტაბიდან, მთელ კაპიტალისტურ ფრონტს ეძლეოდა ცნობები და ბრძანებები. პროლეტარიატმა, რომელმაც ხერხემლის ძვალი გაუტეხა და კისერიც მოუგრიხა კაპიტალს, ეს ბირჟის შენობა გამოიყენა დიადი სანახაოებისთვის, რაც ნათლად ამტკიცებს კაპიტალზე შრომის გამარჯვებას, მის დღესასწაულს. აქ პირველი გრანდიოზული, გაბედული ცდა მოხდა, იმისი, რომ სანახაოები გადმოტანილ ყოფილიყო თეატრის კედლებიდან ჰაერზე, სცენის საფეხურებიდან—სასახლის აივანსა და მოედანზე. 2—3 ათასი კაცის მაგიერ აქ ზის და წარმოდგენას უსმენს ათი ათასობით ხალხი. ასეულ პროფესიონალურ მსახიობების მაგიერ, რომელთაც გაზეპირებული აქვთ მოქმედება—გამოსვლები.—აქ არიან რამდენიმე ათასი მუშები, მუშა-ქალები, მეზღვაურები, წითელ-არმიელები. არც ფარდა, არც კულისები. წარმოდგენის დაწყებას იტყობინება არა ზარის რეკა, არამედ პეტრე-პავლეს ციხის ზარბაზნების გრიალი. სურათების გამოცვლას იტყობინება უზარმაზარ შენობის სახურავიდან არაჩვეულებრივი საყვირის ხმა. ბირჟის წინ მოედანი გაჭედილია ხალხით. ნევის ნაპირის ქუჩა, სანამდის კი მიუწვდება კაცს თვალი, სავსეა ხალხით. აი ეს ხალხი იყო წარმოდგენის მსმენელი-მაყურებელი. აბა ვის შეუძლია გამოიანგარიშოს აუდიტორიის რიცხვი?

ხალხის ზურგს უკან, მაღლობზე მოთავსებული არიან რეჟისორები. საველე ტელეფონების მილებით ხელში, ისინი ნიშანს და ბრძანებებს ტელეფონით იძლევიან, განაგებენ მოქმედებას და სხვა. და ყველა ეს მოჩვენება კი არ არის. იძლევიან ნამდვილ ბრძანებებს, რადგან სცენაზე (თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რადგან სცენა არ არის) მოქმედებენ არა მარტო მსახიობები, ბალეტი, ორკესტრები, მომღერალთა გუნდები და ორატორები, არამედ ყველა ამასთან ერთად მოქმედებს ცხენოსანი ჯარი, არტილერია, ქვეითი ჯარი, ტრანსპორტი და სხვ. ძნელი გადმოსაცემია წარმოდგენის სიდიადე და მისი ჰარმონიული სახე. ბირჟის თავზე ფრიალებს ალისფერი პლაკატები სამი ხანის წელთა აღრიცხვით: 1848, 1871, 1920—რევოლიუციის წლები.

აი, კომუნისტური მანიფესტის ცეცხლივით მგზნებარე მოწოდებები, როგორც ელვა ისე შემოიჭრებიან რეაქციის ბნელეთში, სადაც მეფეები, კარის კაცები, დიდი გვარის ქალები და ბურჟუები, ჰარმონიულათ, წყნარათ მოძრაობენ და ისმენენ დიად მელოდიურ ხმებს. ამ დროს მიდამოს აყრუებს ჩაქუჩების გრემლზე დარტყმის ხმა. კაპიტალისტურ მონობის ქვეშ წელში მოხრილი მუშები. მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ხალხი აჯანყდა, ჩამოაგდო მთავრობა და დააწესა მუშათა სახელმწიფო—კომუნა. უხერხულათ, მაგრამ ძლიერ მხიარულად თამაშობდენ განთავისუფლებული მონები. მარსელიოზის მჭექარე ხმები ეფინება არემარეს. მაგრამ შემოიპარენ დამჩაგვრელები თავისი ქვეყნიდან და უცხოელი პრუსიელები. აჯანყებულები იყვნენ ცოტა, ისინი დაიღუპნენ. აი, დამარცხებული კომუნარები კედელთან არიან ჩამწკრივებულნი. ამ დროს ისმის სროლა. ყრუ კვნესა აღმოხდა მსახიობებს და მსმენელებს. კომუნარების გვამებთან გაივლიან მხიარულად, გამარჯვებული მეფეები და ბურჟუები. შავი კვამლი ეფინება ყველაფერს. ეს რეაქციის ბნელეთია. მაგრამ ამ კვამლში თეთრათ კამკამებენ მშვენიერ ქალწულთა მწკრივები, რომელთაც მწუხარებით დაუხრიათ თავები კომუნარების საფლავის წინ. ისმის შოპენის სამგლოვიარო ჰიმნი, რომლის დროს საუცხოვო მოჩვენებასავით ჩაივლიან ქალწულები, სასოწარკვეთილნი, ხელების მტვრევით. ზოგჯერ ხელებს ზევით ისვრიან, თითქოს საბრძოლველათ იწვევენ მტერს.

დიდხანს და აუღელვებლათ ბრძანებლობს კაპიტალი კომუნარების გვამებზე. საზოგადოებრივი პირამიდის ძველ ბოძებს: თავად-აზნაურობას, მღვდლებს, გენერლებს, ბანკირებს და სხვებს მიემატება კიდევ ერთი დამხმარე—შემთანხმებლები. ყველა ესენი ამშვენებენ ბრძანებლების მსვლელობას მელოტი თავებით, სურთუკებში გამოწყობილნი, ყვითელი დროშით. ხელში სქელი ტომები. შემთანხმებელ—კაუცკის, ბაუერის და სხვების—სიბრძნის. შემთანხმებლები ჩამწკრივდებიან ტახტის საფეხურების მახლობლათ და ყველანი დაიწყებენ ამ სიბრძნის კითხვას. ტახტს ამ დროს მძლავრათ მიეხეთქებიან რევოლიუციონური ტალღები. წითელი დროშა აფრიალდება მაღლა. მას ნაკუწებათ აქცევენ გენერლები და ჟანდარმები. ახლოვდება ომი. დაიქუხებს ქორესის მძლავრი, გამაფრთხილებელი სიტყვები. თოფის გასროლის ხმა და—სახალხო ტრიბუნი უსულოთ ეცემა.

შემდეგ ომი. ჟარდამები ძალით, შემთანხმებლები სიტყვა მოწოდებებით, მღვდლები ქადაგებებით მიერეკებიან ხალხს ომში. ცოლშვილის მოთქმა გოდება. მოწინააღმდეგეთა ჰიმნის ხმები ეჯიბრებიან ერთი მეორეს. ცხენოსანთა შეტაკებები, ქვეითა ჯარი. ომის დროს დაჭრილ-დასახიჩრებულთა მწკრივები, ხალხის გულის წყრომა მატულობს თანდათან და შემდეგ კი რევოლიუცია. მაგრამ აქაც შემთანხმებლები, გენერლები და ბურჟუები ლდაულობენ ძალა უფლებას ხელში. მათი ლოზუნგია: „ომი სრულ გამარჯვებამდის—ომი ბოლომდის“! კიდევ ერთი დარტყმაც და, ძალა-უფლება მშრომელთა ხელში გადადის. საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვა, წითელი არმიის შედგენა, მისი გამარჯვებები. საუცხოვო აპოთეოზი, ყველა (ხალხთა ძმობა, შესანიშნავი სანახაობა რომელიც არასოდეს არ დაავიწყდება ადამიანს. გუგუნებს „ინტერნაციონალი“, რომელსაც ბანს აძლევს რამოდენიმე ათასი ხალხი. მიმოვიხედე ირგვლივ გადაშვებულია მდ. ნევა მორთულ-მოკაზმული სამხედრო გემებით. ჰორიზონტს ანათებენ პროჟექტორებით. დიდრონი ღრუბლები მოსჩანნნ ცის კაბადონზე. (სანახაობა დამთავრდა დილის 4 საათზე).

უთვალავი რიცხვი პეტროგრადის მუშების, რომლებმაც მთელი ღამე გაატარეს ფეხზე დგომით. ამ დროს ბირჟის ახლოს ისვრიან ზევით შუშხუნებს, (რაკეტები) რომლებიც ზევით სკდებიან და ჩნდება ყველა ენაზე წარწერები: „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს“.

უცხო დელეგატები გაოცებული არიან ამ სანახაობით. ძლიერ მოქანცულნი, ისინი სხდებიან ტრამვაის ვაგონებში და მიდიან მოსასვენებლათ.

განა „მკვდარი“ ანუ „მომაკვდავი“ როგორც გვარწმუნებენ) ქალაქი შესძლებდა ამდენ ორგანიზატორების, მხატვრების, რეჟისორების, ტეხნიკების, და რაც უმთავრესია, ამდენი მსმენელების თავის მოყრას?

მსმენელებს დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდათ, რომ რამენაირათ ალაგი ეშოვათ ბირჟის წინ მოედანზე.

მხოლოდ დიდებულ ქალაქს შეეძლია გაბედული ჟესტით გადაშალოს რუსეთის ხელოვნების ისტორიის ახალი ფურცლები. დეე, საკმაოთ არა პროპორციონალური იყვეს სანახაობის სცენარიები. ნუ იქნება საკმაოთ აქტიური და დრამატიული.... ყველაფერი ეს გაივლის. უმთავრესი მიზანი მიღწეულია, სწრაფათ, ენერგიულათ და გაბედულათ.

სამხრეთის ქალაქებს, თავისი შესაფერისი ჰავით, შეუძლიათ მიბაძონ პიტერს.

ლ. სოსნოვსკი.

# უკანასკნელი ცნობები

**რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ოპერატიული რადიო ცნობა (1 სექტემბ.).**

**პოლონეთის ფრონტი.**

**მოსკოვი**, 2 სექტემბ. გროდნოს რაიონში სოკოლკის ჩრდილოეთით სწარმოებს ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები.

**ხოლმის რაიონში** ჩვენ ნაწილებს ბრძოლა ქონდა მდ. დასავლეთის ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულ მტერთან. მოწინაამდეგე ისევ გადავიდა მდინარის მარცხენა მხარეზე.

**ვლადიმ-რ-ვოლინის რაიონში**

ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას და გრუბეშოვის დაკავების შემდეგ დაიკავეს რამოდენიმე სოფელი 10 ვერსით გრუბეშოვის დასავლეთით.

**სოკოლსკის რაიონში**

გრძელდება ჩვენი სასარგებლო ბრძოლები.

**ლვოვის რაიონში**

ჩვენმა ნაწილებმა მტრის შემოტევის გამო რამოდენიმეთ დაიწია აღმოსავლეთით ლვოვ ბროდის რკინის გზის ჩრთილოეთით.

**ყირიმის ფრონტი**

ბერისლავის და ორეხოვის რაიონში, ჩვენი ნაწილები აწარმოებენ ბრძოლას მოწინააღმდეგესთან, რომელიც დიდ წინააღმდეგობას გვიწევს.

# ახალი ამბები

**ქართველი სტუდენტები პეტროგრადში** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ პეტროგრადში ცხოვრობენ შემდეგი ქართველი სტუდენტები: კ. აბულაძე, ლაბაძე, ნ. ლეკვაშვილი, შ. მიქელაძე, ი. ჟორდანია' შ. ნიჟარაძე, ა. ხელიძე, ღლონტი, უზნაძე, შერვაშიძე, ჩაჩავა, გორგაძე, ლოლობერიძე, დუმბაძე, შ. ვაჩნაძე, ა. ბაზაძე, გარაყანიძე, ა. ფხაკაძე, სალუქვაძე, გურგენიძე. ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელათ არიან.

# მუშათა წერილები

**კიდევ საბჭოთა რუსეთში მიმავალ „მუშათა დელეგაციაზე“**

გაზეთ „ერთობის“ 197 № ში მოთავსებულია წერილი: „მუშათა დელეგაცია და ბოლშევიკები“. ბ. „ბეგი“, წერილის ავტორი, იწყებს ასე: „ოქტომბრის მეორე „რევოლიუციამ“, რომელიც მოახდინეს სოციალიზმის სახელით ბოლშევიკებმა, საქართველოს მუშათა კლასი იძულებული გახადა ჩამოშორებოდა რუსეთს და თავისთვის თვითონ მოეარა“.

ჩვენ არავის მივსცემთ უფლებას საქართველოს მუშათა კლასს ცილი დასწამოს. საქართველოს მუშათა კლასი რუსეთს არ ჩამოშორებია თავის ნება-სურვილით, როგორც ამას ამტკიცებს ბ. „ბეგი“, არამედ ის ჩამოაშორა ინტელიგენციის იმ ჯგუფმა, რომელიც თავისთავს „სოციალისტებს“ უწოდებდა მაშინ; აი სწორედ ამ ინტელიგენციის ჯგუფმა

ბ. ლუნაჩარსკი.

# საბჭოთა მთავრობა და სიძველენი

სხვა მრავალ ცილისწამებათა შორის' რომლებიც ვრცელდებიან საბჭოთა მთავრობის შესახებ, უმეტესად აღელვა ციმბირიდან ჩვენამდე მოსულმა ამბავმა ამერიკული გაზეთების წერილებიდან, რომლებიც გვაბრალებენ ვანდალიზმს: მუზეუმების, სასახლეების, მსხვილ მებატონეთა „მამულების“ და ეკლესიების ნგრევა-განადგურებას; ეს ნაშთები ითვლები ან ძეგლებათ სიძველისა და ხშირად ამასთან ერთად ხელოვნების იშვიათს ნაწარმოებსაც წარმოადგენენ.

ჩვენ შეგვიძლია სიამაყით და გადაჭრით უკუვაგდოთ ეს ბრალდება და ვსთქვათ, რომ ჩვენ მოვიმოქმედეთ სასწაულები ამგვარ ძეგლთა დაცვის საქმეში. რასაკვირველია, მე ამით არ მინდა ვსთქვა, რომ რუსეთის რევოლიუციის ხანაში არ დაიღუპენ ცალკე მხატვრული ღირებულებანი. ჩვენ გვაქვს ცნობა ზოგიერთ მებატონეთა დამწვარი სასახლეების, დანგრეული ბიბლიოთეკების, გაძარცული კოლექციებისა და სხ. შესახებ, მაგრამ საჭიროა შევიგნოთ, რომ ისეთ ძლიერ შერყევას, როგორიცაა რევოლიუცია, არ შეიძლება არ დაერთოს ცალკე ექცესები და ბატონ იმპერიალისტთა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ რბევა ადამიანთა ქონებისა ომის იმ ადგილებში, რომლებიც ეჭირათ დიდად „განათლებულ“ ბურჟუაზიულ არმიებს, ხდებოდა გაცილებით ძლიერათ.

რუსეთში ამ სამწუხარო მოვლენას ჰქონდა დროული ხასიათი და გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ახალმა მთავრობამ არ აიღო ხელში ძალა-უფლება. ახლა კი არა მხოლოდ პეტერბურგში და მის მიდამოებში, სადაც დაგროვილია აუარებელი განძეული ამ ჯურისა, არა მხოლოდ მოსკოვში და მის მახლობლად მდებარე მებატონეთა მამულებში, რომლებიც თავისთავათ წარმოადგენენ რაღაცნაირ განსაკუთრებულ თავისებურს, არამედ პროვინციაშიც, ზოგჯერ მიყრუებულ პროვინციაშიც, სიძველეთა და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის განყოფილებას ჰყავს თავისი აგენტები, რომლებიც შეგნებულ გლეხებისა და მუშების შემწეობით იცავენ, როგორც თვალის ჩინს, მხატვრული ღირებულების მქონე სახალხო ქონებას.

ამერიკულმა გაზეთებმა გაბედეს ლაპარაკი მეფეთა სასახლეების გაძარცვისა და მათში უწესოების არსებობის შესახებ! მე მქონდა ბედნიერება მეჩვენებინა ზოგიერთ უცხოელებისათვის, თუ რა ხდება ახლა ამ სასახლეებში. ჰო, ჩვენ გავიარეთ მძიმე დრო, როდესაც ყოველგვარი რაზმები, ჩვენი და სხვისა, დაძრწოდენ გატჩინასა და ცარსკოე სელოში, როდესაც პეტერბურგში არ იყო არავითარი „საპოლიციო“ ძალა. ამ პირობებში თუნდ სასახლეებისა და მუზეუმების აურაცხელი მატერიალური განძეულის დაცვა თითქო უიმედო საქმეთ იყო მისამჩნევი. დაუმატეთ ამას ის, რომ ბევრ სასახლეში, განსაკუთრებით ზამთრისაში, სარდაფები იმ დროს სავსე იყო ღვინოებით, არაყით, კონიაკით. ჩვენ დაგვჭირდა ყველაფერი ეს დაუნანებლად მოგვესპო, რადგან უამისოდ ლოთების რბევა შეიძლება ერმიტაჟზეაც, ზამთრის სასახლის დარბაზებზედაც გავრცელებულიყო და გადაქცეულიყო აუწერელ უბედურებათ. ღვინოს ძლიერ შეუძლია მიზიდვა. მე მახსოვს პავლოვის პოლკის ის ჯარის კაცი, რომელმაც, სხვა მცველების მსგავსათ, ვერ მოითმინა, რომ არ დაელია ღვინო, როცა ის ასი-ათასობით ბოთლს იგი დარაჯობდა და რომელიც შემდეგ ბოლოშის მოხდით მეუბნებოდა: „დამაყენეთ ოქროთი სავსე გახსნილ ყუთთან—ხელს არ ვახლებ, ღვინოსთან დგომა კი ყოვლად შეუძლებელიაო.“ და მიუხედავათ ამისა, ამ ღვინის მოსპობა უკიდურესი ზომების საშუალებით ჩვენ მაინც შევსძლეთ პირნათლათ და გამოვედით მაშინდელი მოსალოდნელ უბედურებიდან.

ახლა თუ შეხვალთ თქვენ რუსეთის მეფეთა ზამთრის სასახლეში, ან გატჩინოში, და შეამჩნევთ იქ რაიმე კვალს ნგრევისას, დარწმუნებული იყავით რომ ეს ჯერ წარუშლელი კვალია იმ დროის, როცა იქ კერენსკი მისი იუნკრები და ყაზახები ბატონობდენ.

თუმცა ამგვარ კვალს ახლა თქვენ ვერც კი შეამჩნევთ—ჩვენ წავხოცეთ ის.

რაც შეეხება მუზეუმებს, მათში სუფევს სამაგალითო წესიერება ამ დარგის საუკეთესო მოღვაწეთა ხელმძღვანელობით; მუზეუმები ახლა ძლიერ გამდიდრდენ ყოველგვარი ხელოვნების ნაწარმოებით და სიძველის ნაშთებით, რომლებიც გადატანილ იქმნენ მათში მებატონეთა იმ სასხლეებიდან, სადაც მათ მეტი საფრთხე მოელოდათ.

იმ დროს, როდესაც ძველი ერმიტაჟის საუკეთესო სურათები კერენსკის სურვილით გადატანილ იქმნა მოსკოვში და ახლა ისევ დალურსმულია ყუთებში იმ დღის მოლოდინში, როდესაც პეტერბურგს ასცდება ყოველგვარი საშიშროება, —ერმიტაჟის დარბაზები ხელახლათ ივსებიან ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოებებით, რომლებიც ნაწილად ნაყიდი არიან, ნაწილად კი გადმოტანილი კერძო საგანძურებიდან, სადაც ისინი ხალხისათვის მიუდგომელი იყო. რა სასწაულები ახლა გახსნილი ხალხთა მასებისთვის და მოსწავლეთათვის იუსუპოვის, ტროგანოვის და სხვათა სასახლეებში!

თვით სასახლეები ემსახურებიან სხვა და სხვა დანიშნულებას. მხოლოთ ზოგიერთი მათგანი, როგორიც არიან მაგალ. მარიინის და ანიჩკოვის სასხლეები, რომლებიც მხატვრულ—ისტორიული მხრივ საინტერესოს არაფერს წარმოადგენენ—ემსახურებიან უტილიტარულ მიზნებს. ზამთრის სასახლე კი გადაქცეულია ხელოვნების სასახლეთ. მის უზარმაზარ, მშვენიერ, რასტრელლისა და მის მოწაფეთა მიერ აგებულ დარბაზებში თქვენ ყოველთვის ნახავთ ხალხის ჯგუფებს, რომლებიც ისმენენ მშვენიერ მუსიკას, სახელმწიფო კაპელლის და სახელმწიფო ორკესტრის კონცერტებს, ან რომლებიც უმზერენ რჩეულ კინემატოგრაფიულ სეანსებს ან სპეციალურ წარმოდგენებს.

მუდამ იმართება აქ გამოფენები, რომელთაგან ზოგიერთები იყვენ მართლა შესანიშნავი ექსპონატების რიცხვით. ჩვენ ვისწრაფვით გადავაქციოთ გამოფენები და მუზეუმები ცოდნის ნამდვილ წყაროებათ და ამ მიზნით ვმართავთ იქ ლექციებს, ვაძლევთ დამთვალიერებელთა ყოველ ჯგუფს განსაკუთრებულ ინსტრუქტორ—ხელმძღვანელს. გამოვყოფთ რა მუზეუმებიდან მცირე ცალკე გამოფენებს, მაგალ. ბუდდის სარელიგიო ხელოვნების, ევგიპტელთა საკრძალავ ცერემონიებს და რწმენებს და სხვ., ჩვენ ამით ვქმნით დაკვირვებითი სწავლების მეთოდის წყაროებს და „დაცალიერებულ“ პეტერბურგში ამგვარ გამოფენებს ათვალიერებს აუარებელი ხალხი.

სხვა სასახლეები პირდაპირ გადაქცეულია მუზეუმებათ. აქ პირველ რიგზე დგას უზარმაზარი ეკატერინეს ცარსკოე სელოს სასახლე და მის მახლობლად მდებარე ალექსანდრესი. მთელი ისტორია თვითმპყრობელობისა მიმდინარეობს აქ იმ მუშათა და მოსწავლეთა წინაშე, რომლებიც ჯგუფებათ მოდიან პეტერბურგიდან, დასეირნობენ მრავალ წლოვან ხეივნებში და შემდეგ შედიან ამ სასახლეში, რომელშიაც ჩინებული წესრიგია დამყარებული. აქ მიღებულია ზომები, რომ აუარებელ დამთვალიერებელთა მოზღვავების დროს დაცულ იქმნას დანგრევისა და გაფუჭებისაგან არა მხოლოთ კედლები, ავეჯეულობა, მხატვრული ნაწარმოებნი, არამედ დარბაზების იატაკებიც. ამ მზრუნველობაში ჩვენ მივდივართ იქამდე, რომ იქ, სადაც შეუძლებელია ფიანდაზების დაგება. ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული მაუდის ფოსტლები, რომლებიც ჩაიცმევა ფეხსაცმელებზე, რომ იატაკი არ გაფუჭდეს. და ეს უნერგავს დამთვალიერებელს, რანაირადაც არ უნდა იყვეს იგი შეუჩვეველი ამგვარ გარემოებას, აზრს იმის შესახებ, რომ ის იმყოფება სახალხო ქონებათა შორის, სადაც ყველაფერი უნდა დაცულ იქმნეს სახელმწიფოს და ხალხის მიერ უკიდურესი მზრუნველობით.

ეკატერინეს სასახლეში ის ნახავს უცნაურ და მძიმე სიფაფუკეს ელისაბედის დროისას;—ლამაზ, მოხდენილ, ჰარმონიულ სიმშვენიერეს ეკატერინეს საუკუნისას. და ეს მეფურ-ბატონური კულტურა, რომელიც იზიდავდა დასავლეთიდან რუსეთში საუკეთესო ხუროთმოძღვრებს, ქსოვილთა გადამკვრელებს, ფაიფურის, ბრინჯაოს, და სხვა ხელოსნებს, აღწევს თითქო უმაღლეს წერტილს პავლეს მეფობაში.

თუმცა ამ ხანის სრულიად მთლიანი გემოვნების საუკეთესო ძეგლათ შეიძლება ჩაითვალოს მეზობლათ მდებარე პავ-

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.", როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

---

თავისი ნება-სურვილი მოახვია თავზე საქართველოს მუშათა კლასს.

ბ. „ბეგი" ამბობს: „დღეს საქართველო იშვიათი კუთხეა, სადაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სათავეში უდგას სოციალისტური მთავრობა". აი ამაში არავინ შეედავება ბ. „ბეგს" და ამ მხრით მართლაც რომ იშვიათი კუთხეა საქართველო, რადგან სახელმწიფოს ძალა-უფლება ხელთ უპყრია „სოციალისტებს" და აკეთებენ კი ბურჟუაზიის საქმეს, ესე იგი ამაგრებს ბურჟუაზიულ საგოგადოების საძირკველს. ჭეშმარიტად რომ იშვიათი კუთხეა!

„მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ,— განაგრძობს ბ. „ბეგი",—საქართველოს შესახებ ძალიან ცოტა ან სულ არაფერი იცოდენ სხვა ქვეყნებმა". დარჩენ ქვეყნებზე ახლა არაფერს ვიტყვი, რაც შეეხება რუსეთს აქ უტიფრად ცრუობთ. თუ რუსეთში არ იყვნენ გაცნობილნი საქართველოს მდგომარეობას, აბა რით აიხსნება ის, რომ რუსეთის მეორე რევოლიუციით განაწყენი კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მისი ლაქიები საქართველოსკენ გამორბოდენ და აქ აფარებდენ თავს?

შემდეგ, „ამის გამო რუსეთის მუშათა კლასს ცუდი შეხედულება დაებადა საქართველოს შესახებ." მაშასადამე საჭირო იყო ამ „ყალბ" ინფორმაციას საქართველოზე სწორი იმფორმაცია დაპირდაპირებოდა. როგორ მოიქცენ მუშათა დელეგაციის ავტორები? „დღეს კი,— ამბობს ბ. „ბეგი",—როგორც ვიცით, საქ. პროფ. კავშირებმა გადაწყვიტეს გაგზავნოს რუსეთში მუშათა დელეგაცია რომლის მოვალეობა არის გაეცნონ რუსეთში დამყარებულ „სოციალიზმს" და გააცნონ რუსეთის მუშათა კლასს საქართველოს მდგომარეობა".

ბ. „ბეგი" სდუმს, ერთ ღერ სიტყვას არ ამბობს იმაზე, თუ რა გზით მოხდა „მუშათა დელეგაციის" არჩევა და ვისგან შესდგება ის. გონია ჩვენ ბალშევიკები წინაამდეგი ვართ, რომ საბჭოთა რუსეთში მუშათა დელეგაცია იქნას გაგზავნილი საქართველოს მუშათა კლასიდან? არა ბატონებო ამის წინაამდეგი ჩვენ ვერ ვიქნებით. ჩვენ' ე. ი. ბალშევიკები ვამბობთ, ან გეუბნებით: თქვენ თუ გინდათ სწორი ინფორმმცია მიაწოდოთ რუსეთის მუშებს საქართველოს შესახებ, და საქართველოს მუშებს საბჭოთა რუსეთის შესახებ, მაშინ გააგზავნეთ ისეთ ნაირადარჩეული და იმნაირად შემდგარი მუშათა დელეგაცია, რომელიც ამ დავალებას შეასრულებს სისწორით და მიუდგომლათ. თქვენ მიერ „არჩეული" „მუშათა დელეგაცია" ამას ვერ შეასრულებს, რადგან ერთი რომ მათი არჩევა მოხდა ბიუროკრატიულათ, და მეორე იმიტომ ის შესდგება ერთი მიმართულების პირებისაგან. ცხადია, ასეთი „მუშათა დელეგაცია" ნდობას ვერ მოიპოვებს ვერც აქაურ და ვერც იქაურ მუშებში.

ბალშევიკებმა თუ „ასტეხეს ერთი აურ-ზაური" („ბეგის" სიტყვებია), ეს იმიტომ კი არა, რომ მუშათა დელეგაციის გაგზავნის წინააღმდეგ იყვენ, როგორც „ბეგი" ირწმუნება, არამედ იმიტომ რომ ფარდა აეხადა მენშევიკების ყალთაბანდობისათვის.

ბ. „ბეგი" ბრძანებს; „ადგილობრივი ბალშევიკები ფრჩხილებში (თუ ბრჭყალებში? მ. კ.) სვამენ სახელწოდებას მუშათა დელეგაციას, ვითომ ის მართლა ნამდვილი მუშებისაგან არ შესდგებოდეს".

ბ. „ბეგო"! ჩვენ სახელწოდებას მუშათა დელეგაციის იმ მოსაზრებით ვსვამთ ბრჭყალებში, რომ ის არის დელეგაცია არა საქართველოს მუშათა კლასის არამედ მენშევიკური პარტიის და მისი ლაქიების, მაშასადამე მას არ შეუძლია იყოს გამომხატველი საქართველოს პროფესიონალური კავშირების წევრების აზიას და შეხედულების.

**მუშა კომუნისტი.**

---

# პარტიული ცხოვრება.

### სენაკის მაზრის ამხანაგების საყურადღებოდ.

ამხანაგებო! ამა წლის 1 ივლისის რეპრესიების გამო მთელ მაზრაში ორი თვის განმავლობაში პარტიული მუშაობა შეწყდა: ეს მაზრა განსაკუთრებული ზონა შეიქმნა, სადაც კომუნისტები კანონს გარეშე გამოაცხადეს; ჩვენ ჩამოგვაშორეს მუშაობას. საუკეთესო ამხანაგები მოგვაკლეს და ციხისკენ გაისტუმრეს, მათ ვერავითარი ბრალდება ვერ წამოუყენეს, რადგანაც ჩვენ ვმუშაობდით იდეურად და ლეგალურად.

რომ არ დაინგრეს ჩვენი ორგანიზაცია, ჩვენ გადავწყვიტეთ პარტიულ მუშაობის აღდგენა ლეგალურ გზით და ამ მიზნით ვიწვევთ 5 ენკენისთვეს დღით კვირას 12 საათზე ქ. სენაკში სამაზრო კონფერენციას, რომელიც აირჩევს სამაზრო კომიტეტს. ყოველ 20 ამხანაგმა უნდა გამოგზავნოს ერთი წარმომადგენელი.

**სენაკის მაზრის საორგანიზაციო კომისია.**

ქ. სენაკი, 30 აგვისტო 1920 წ.

---

ჩვენ მე-3 რაიონის მე-9 იაჩეიკამ გამოვიტანეთ დადგენილება: მატერიალურად დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ ამხანაგებმა მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს", გაზეთში უნდა გამოაცხადოს იაჩეიკამ ხოლო იაჩეიკის წევრს უფლება არ ქონდეს თავისი გვარი გამოაცხადოს გაზეთში.

**მე-3 რაიონი მე-9 იაჩეიკა.**

28 აგვისტო.

---

### ს. კ. პ. მეორე რაიონის საბჭოს ბიუროს დადგენილება.

სამშაბათს, 31 აგვისტოს საღამოს 7 საათზე შესდგა მორიგი სხდომა მეორე რაიონის საბჭოს ბიუროსი, რომელზედაც გადაწყდა: დაუყოვნებლივ იქნას გამოყენებული იაჩეიკებში სამეცადინოთ ის ინტელიგენტური ძალები, რომელიც ბიუროს განკარგულებაში არის გადაცემული, რომ ამნაირად გამოცოცხლებული იქნას პარტიული მუშაობა.

ამავე სხდომაზე დაამტკიცეს რამოდენიმე ათეული ახალ წევრთა სარეგისტრაციო ბარათები.—ახალ წევრთა მიღება პარტიაში სწარმოებს დიდი სიფრთხილით.

**კოტე.**

---

# პროტესტი.

ჩვენ კომუნისტები 3 რაიონის 9 იაჩეიკისა პროტესტს ვაცხადებთ 25 აგვისტოს ჩვენი ამხანაგების ახალგაზრდა კუმუნისტების დატუსაღების გამო. დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავისუფალი სიტყვას და კრების ნება უნდა იყოს.

**მე-3 რაიონის მე-9 იაჩეიკა.**

---

ერევნის გაუმაძღარ ბურჟუაზიულმა მთავრობამ სიცოცხლეს გამოასალმა პროლეტარიატის ავანგარდის საუკეთესო კომუნისტური პარტიის წევრები. ზიზღს ვუცხადებთ ერევნის ბურჟუაზიულ მთავრობას რევოლიუციონურ პროლეტარიატის სისხლის დაღვრისათვის.

**მე-3 რაიონის მე-9 იაჩეიკა.**

---

# ღია წერილი

### ალ. ალამიძეს*)

24 აგვისტოს ხელზე მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საზოგადო კრებაზე თქვენ გამოდით ვითომდა საკრიტიკოთ გამგეობისა და ამავე დროს, მე როგორც გამგეობის წევრს შემეხეთ და ისეთი ინტრიგა გასწიეთ ჩემს წინაამდეგ, რანაირსაც არ იკადრებს წევრი რომელიმე პარტიისა. თქვენ მოქ. ალავიძე, თავი შეგნებულ მუშათ მოგაქვთ, ხართ კომუნისტური პარტიის წევრი. გეკითხებით სინიდისის ქვეშ, იყო თუ არა თქვენი გამოსვლა ჩემს წინაამდეგ კანონიერი? ნუ თუ პარტია, რომელსაც თქვენ ეკუთვნით, მოგიწონებთ ამ საქციელს? არა მგონია! საზოგადო კრებამ თქვენი ჩემდამი წამოყენებულ ბრალდების გამოკვლევა მიანდო გამგეობას, სადაც თქვენ უნდა დაამტკიცოთ თქვენ მიერ საჯაროთ თქმული სიტყვები, თქვენ კი არ ემორჩილებით საზოგადო კრების დადგენილებას და გაურბიხართ გამგეობას. მე დაჟინებით მოვითხოვ, სწორეთ გამგეობამ გაარჩიოს ჩვენი საქმე, (თანახმათ კრების დადგენილებისა). მე მგონია, როგორც ოფიციანტთა კავშირის წევრებისათვის ორივესთვის სავალდებულოა, საზოგადო კრების დადგენილება, ამიტომ გთხოვთ როგორც მოქალაქეს მოიხადოთ თქვენი ვალი და „ანს" „ბანიც" მიაყოლეთ, ე. ი. მობრძანდეთ თქვენი საბუთებით გამგეობაში და დამიმტკიცოთ თქვენგან წამოყენებული ბრალდებები.

**გიგო ჯიქია.**

*) ვათავსებთ ამ წერილს მოქ. ჯიქიას პირადი თხოვნით, როგორც კავშირის ყოფილი გამგეობის წევრისას, მით უფრო, რომ ჩვენი სურვილია მუშათა შორის პირად ნიადაგზე კინკლაობას ადგილი არ ქონდეს და თუ სამწუხაროთ ასეთი რამ მოხდება, ჩვენ ყოველთვის სიმართლის გამორკვევის მომხრე ვართ. **რედ.**

---

# ფონდი

მივიღეთ ს. კ. პ. თბილისის მე-3 რაიონის მე-9 იაჩეიკის ორი ამხანაგისაგან 200 მან. გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

---

# ჩვენი ფოსტა

**სამტრედიელ კომუნისტს:** გამოაგზავნეთ დეპოს რკინის-გზის მუშების რაიონულ კრებების ყველა ანგარიშები.

**ოჩამჩირე, კ. ლეწურწუმელს:** გამოაგზავნეთ ხშირხშირათ კორესპონდენციები: საჭიროა პარტიიდან გაძევებულების შესახებ საბუთები პარტიულ ორგანიზაციის მიერ დამოწმებული.

**№:** არ დაგვიბეჭდია,'ვინაიდან არ გამოგვადგა.

**დათიკოს:** გამოაგზავნეთ კორესპონდენციები ადგილობრივ მუშათა ცხოვრებიდან.

---

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.**

---

ლოვსკის სასახლე. ჩინებულათ შერჩეული მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც შეადგენენ მის მოწყობილობას, მის მშვენივრათ გამოყვანილ დარბაზებთან ერთათ, ჰქმნიან პავლიოვსკს შეუდარებელ ძეგლათ, რომლის სწორის პოვა ძნელათ შეიძლება ევროპაში.

მაგრამ ცარსკოე სელოს დიდ სასახლეშიც დასტოვა თვისი კვალი ამ ხანამ. სარგებლობდენ რა ყმების შრომით იმ დროის მეფეები, რომლებიც ემყარებოდენ თავად აზნაურობას, ჩინებულათ იყენებდენ მთელ ევროპას და თავის მოსკოველ წინაპართა აზიურ სიფაფუკეს სცვლიდენ ევროპის კულტურის რჩეულ ნაწარმოებზე.

ალექსანდრეს დროს გემოვნება ცოტა დაბლა იწევს. მის ამპირში რაოდენადმე ჰკრთის სიცივე, რომელიც მაინც არ არის მოკლებული სიდიადეს. ეს გ͂ანსახიერებაა ნაპოლეონის იმპერიალიზმისა რუსულ ბატონყმურ იმპერიალიზმში.

შემდეგ ალექსანდრე მეორის ოთახები, ფუფუნებით მოწყობილნი, თვალწარმტაცნი, რომლებსაც ეტყობათ ზეგავლენა ინგლისური ბურჟუაზიული გემოვნებისა: არავითარი სიფაფუკე, მხოლოთ კაბინეტები და სასტუმროები ბრიტანელი ჯენტლმენისა, შეძლებული მემამულისა. და უცებ—ალექსანდრე მესამე,—უცნაური,—უხეში ფსევდო—რუსული სტილი, სიფაფუკე უმთავრესად მატერიალური.

ეს დაქვეითება იწყება ჯერ კიდევ ნიკოლოოზ 1-ის დროს მისი მძიმე ბრინჯაოთი, მე 2-რე იმპერიის წარმოებით, მეორე ხარისხის პარიჟული ნივთებით.

მაგრამ უხეში რუსოპეტული სული ალექსანდრე მესამისა უმატებს ყველა ამას რაღასაც, რაც გვაბრუნებს ისევ აზიასთან. უდიდესი სიძნელით იპოვით თქვენ აქ ჭეშმარიტი მხატვრობის რაიმე გამოკრთომას. ეს არის ნივთები, რომლებიც ღირს ძვირათ, უცნაური, მყვირალა, უხეშ ეფფექტის გამომწვევნი. სჩანს, რომ თავად-აზნაურობას მოუჭამია თვისი დრო, რომ მეფეები აღარ მიიწევენ წინ, აღარ ცდილობენ ხელოვნების გადმოცემას მასში, რაც შეეხება მატერიალურ კულტურას, კულტურის მოწყობილობის აზრით. ისინი ახლა უკვე ეგუებიან ცხოვრებას საძაგელ შენობებში, რომლებიც მხოლოთ იმ მიზანს ემსახურებიან, რომ თვალი მოსჭრან ქვეშევრდომებს მოსაჩვენებელი, უშინაარსო სიდიადით. თქვენ უკვე გრძნობთ, რომ თვითმყრობელობა იმაგრებს თავს ხელოვნურათ: მას აღარ აქვს თვისი თავის იმედი, მას სურს თვალის მოჭრა, მაგრამ საამისო არა რა აქვს, და აქედან გამომდინარეობს მისი მისწრაფება ბომბერაზულ ზომის და მასალის დიდ ღირებულების შენობების აგებისადმი.

მაგრამ თუ ჩვენ ვპოულობთ სწრაფათ ჩამომსვლელ საფეხურებს ალექსანდრე 1-დან ნიკოლოოზამდე, ნიკოლოოზიდან ალექსანდრე მე-2-რამდე, ალექსანდრე მე-2-დან ალექსანდრე მე-3-მდე,—ჩვენ თვალ წინ უეცრათ იშლება უფსკრული და მის ნაპირზე ვდგებით, როდესაც გადავდივართ ნიკოლოოზ მე-2-ის უგემოვნო ოთახებში. რა და რა არ არის მათში! ის წარმოადგენს რაღაც ჭრელ ჩითს, სადაც ყველგან ჩამოკიდულია ფოტოგრაფიული სურათები. არც მეტი, არც ნაკლები: თქვენი თავი გგოგიანთ რომელიმე მილიონერის პირველი ფარეში ქალის ოთახში. აქვე არის რასპუტინის კუთხეც, სავსე ოქროთი დაფერილი ხატებით, აქვეა რაღაც არაჩვეულებრივი აბაზანები, უზარმაზარი სავარძლები და ფრიად უცნაურათ მორთული „საპირფარეშოები", რომლებიც აღგიძრავენ ფიქრს ქვენა, ცხოველურ გრძნობიარობაზე, აქვეა ბაზრული ავეჯეული, სწორეთ ის, რომლითაც მოაწყობენ ხოლმე თვის სახლს გამდიდრებული უგვარ-ტომო მეტიჩრები, რომლებიც ყიდულობენ ყოველგვარ „ავეჯს", რომელიც მოეწონება მათ გაველურებულ გემოვნებას.

რაღაც უცნაურათ ეხლართება ერთმანეთს აქ ორი მიმართულება: საძაგელი უგემოვნება გადაგვარებული რუსი ბატონისა და არა ნაკლებადვე საძაგელი გემოვნება მოკლებულ გერმანელ მეშჩანისა.

მაგრამ ჩვენ ხომ საქმე გვაქვს მეფური სახლების მსგავსებასთან! არ შეგიძლია მოიშორო აზრი დინასტიის თავბრუდამხვევი მორალური და ესთეტიური დაცემის შესახებ, თუნდ განგებ აუხვიო გვერდი მას.

ჩვენმა მხატვრებმა გვირჩიეს დაგვეტოვებინა სრულიად ხელშეუხებლად ყველა ბინები ნიკოლოოზ მე-II-ისა, როგორც ნიმუში ცუდი გემოვნებისა,—ჩვენც ასე მოვიქეცით, რადგან ეს გასეირნება სრულიად ახლო წარსულში—რომანოვების დაცემის დროისა—შესაფერი ლექციის თანდართვით არის ჩინებული ილლიუსტრაცია მეფეთა კულტურის ისტორიისა.

ბევრ რამეს გვასწავლის აქ მხრივ გატჩინოც. მაგრამ ძლიერ მაფიქრებს ის რომ შეიძლება გენერალ იუდენიჩმა და მისმა თანამხლებლებმა—დიდი ბრიტანეთის კულტურტრეგერებმა—დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენ მიერ ასეთი მზრუნველობით დაცულ, ხალხთა მასსებში ესოდენ პოპულიარულ სასახლე—მუზეუმებს.

მოსკოვში მრავალრიცხოვანი ექსკურსიები ათვალიერებენ კრემლს, რომელიც, ზოგიერთ შენობათა გამოკლებით, რომლებშიც მოთავსებული არიან სახელმწიფო დაწესებულებანი,—მთლათ, ტაძრებიანათ—გადაიქცა უზარმაზარ სამაგალითო მუზეუმათ.

„მამულები" მოსკოვის გარშემო დაცული არიან. იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი არ წარმოადგენენ თავისებუროობით მთლიან ანსამბლს, მათგან და მონასტრებიდანაც გამოგვაქვს ხოლმე ყველაფერი ღირსშესანიშნავი ღირებულების მხატვრული თუ ისტორიული მხრივ და გადაგვაქვს სპეციალურ მუზეუმებში, რომლითაც გამდიდრებულია მოსკოვის მუზეუმები. იმ „მამულებს" კი, რომლებიც განსხვავდებიან სტილის მთლიანობით, ჩვენს მძიმე დროშიც კი ათვალიერებენ მრავალნი, რომელთაც სურთ იხილონ მთლიანი ძეგლები ჩვენი თავადაზნაურობისთვის „მშვენიერი" დროისა' როდესაც მან, ჰქანცავდა და ჰლუპავდა რა თვის მონათ მთელ თაობებს, იცოდა ლამაზათ ცხოვრება და აგრეთვე ისიც, თუ რა უნდა ეყიდა მას ევროპაში, სადაც მათი დარბაზების „მოწყობილობის" სანაცვლოთ მიედინებოდა რუს მშრომელთა ოფლის მდინარე.

ქვეყანაში, რომელიც განიცდის რევოლიუციონურ კრიზისს, რომელშიც მასსები ბუნებრივათ ზიზღით ალსავსე არიან მეფეთა და მემამულეთადმი და უნებლიეთ გადააქვთ ეს ზიზღი მათ სახლებზე, მათ ქონებაზე, რომელთაც ამავე დროს არ შეუძლიათ შეაფასონ მათი მხატვრული, ისტორიული მნიშვნელობა უმეცრების გამო, უმეცრებისა, რომელშიც იგინი ჰყავდათ მუდამ იმავე მემამულეებსა, იმავე მეფეებს,—ამ ქვეყანაში შეჩერება ნგრევის ტალღისა, არა თუ მხოლოდ შენახვა კულტურულ ღირებულებათა, არამედ დაწყება მათი გამოცოცხლებისა და მუმიებიდან მუზეუმების შექმნა—შექმნა ცოცხალი სილამაზისა, რომელიც მზად არის მიუალერსოს სილამაზის შეუგნებლათ მაძიებელს მშრომელს, ძველი სასახლეებიდან და „მამულებიდან", სადაც მოწყენით ატარებდენ სიცოცხლეს ყველაფერს მიჩვეული და არაფრის შემამჩნეველი გადაგვარებული ოდესღაც თავისებურად დიდებული თავადთა შთამომავალნი, კეთება საზოგადოებრივი დანიშნულების სახლებისა, რომლებიც ინახებიან ფაქიზათ და რომლებიც ახარებენ აუარებელ დამთვალიერებლებს,—ყველა ეს, რასაკვირველია, ძნელი საქმე იყო.

სახალხო განათლების კომისარიატს სიძველეთა და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის განყოფილებასთან ერთათ ყოველ დროს შეუძლია წარადგინოს განათლებული კაცობრიობის წინაშე ანგარიშები თავისი მუშაობისა ამ მიმართულებით და იგი გადაწყვეტით აცხადებს, რომ არამც თუ მხოლოთ ხაერთაშორისო პროლეტარიატი, საუკეთესო ნაწილი ამ განათლებული კაცობრიობისა, არამედ ყოველი პატიოსანი ადამიანი მოვალე იქმნება სცეს პატივი ამ ბუმბერაზულ ცდას.

ყურადღება უნდა მიექცეს არა ნგრევის იმ ცალკე შემთხვევებს რასაც ადგილი ყოველთვის შეიძლება ექნეს თუნდაც უკიდურესად განვითარებულ ქვეყანაში, არამედ იმას, რომ ქვეყანაში, რომელიც განზრახ იყო შეჩერებული თვის განვითარებაში ბარბაროსობის საფეხურზე, ამ ნგრევის პროცესმა არ მიიღო ვრცელი სახე და მუშურ—გლეხურმა მთავრობამ თავისი ძალით სახალხო ქონების მტკიცე დაცვათ გადააქცია.

კრემლი, 1919 წ. 28 ოქტომბერი.

„კომუნ. ინტერნ." № 7—8.

სტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. № 3.